პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ № 152 (16582) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ. 1976

ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲠᲐᲖᲛᲐᲕᲔᲜ

ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲑᲠᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲐᲓ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲡᲐᲒᲘᲠᲝᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲜᲢᲐᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ ᲓᲐᲡᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲜᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲖᲔ. ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡ, ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ, ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ, ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ, ᲑᲝᲭᲜᲔᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲐ, ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲘ ᲖᲠᲓᲐ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗᲘ ᲬᲝᲜᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲚᲔᲑᲐ.

ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲕᲐᲚᲔᲑᲡ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ — ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ, ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲡ!

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ

ᲛᲔ, როგორც აგიტატორი, ვსწავლობ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და დიდ მადლობას ვუძღვნი ჩვენს შობლიურ პარტიას მუდმივი ზრუნვისათვის.

დიდი ცვლილებანი მოხდა ამ წლების მანძილზე ჩვენს აბრეშუმის გაერთიანებაში. მკვეთრად ამაღლდა პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა, გაიზარდა კომუნისტთა აქტივობა, შეიცვალა მორალური კლიმატი კოლექტივში. განვადა შეჯიბრება დეგეზით „ჩვენს გვერდით არც ერთი ჩამორჩენილი, არც ერთი დამრღვევი არ უნდა იყოს". ამ მოძრაობის კონკრეტული შედეგი იყო ის, რომ ხუთწლედის მანძილზე გეგმის გადამეტებით 8 მილიონ 500 ათასი მანეთის პროდუქცია გამოვუშვით.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე შეგეგმითი 2 მილიონ 132 ათასი მეტრი ხამი აბრეშუმის ქსოვილი — ასეთი იყო ჩვენი კონკრეტული პასუხი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე.

დიდი ამოცანები დგას ჩვენი კოლექტივის წინაშე ახალ ხუთწლედში. გაერთიანების 500 კომუნისტი სათავეში ჩაუდგა შეჯიბრებას მუშაობის ეფექტიანობისა და პროდუქციის ჩინებული ხარისხისათვის. მიმდინარეობს მთელი საწარმოს რეკონსტრუქცია. გაერთიანების მეთაურმა საწარმომ მილიონ 200 ათასი მეტრით უნდა გაზარდოს მოჩითული საკაბე ქსოვილების გამოშვება. ათი სახეობის საკაბე ქსოვილს წარგადგენთ ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მოსაპოვებლად.

დღეს გვინდა გამოუშაოთ გუშინდელზე უკეთ, რათა გავამართლოთ პარტიის ნდობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალ დადგენილებაში გამოთქმულია რწმენა, რომ საქართველოს მშრომელები ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. ეს რწმენა მთელ ჩვენს კოლექტივს ახალ წარმატებებს შთაგონებს.

Გ. ᲙᲘᲚᲐᲡᲮᲝᲜᲘᲐ,
თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მქსოველი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. 30 ივნისი. (საქინფორმის კორ.). ქუთაისის შრომელნი დიდი ინტერესით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კოზიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიურეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.

ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი დღეს აგიტატორთა, პროპაგანდისტთა ყურადღების ცენტრშია. ისინი დაწვრილებით უამბობენ შრომელებს დიდ ცვლილებებზე, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკაში მოხდა სახალხო მეურნეობისა და კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილების შემდეგ.

საწერეს-სამეჯედლო საამქროს აგიტატორის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მოწინავე ელექტროშემდუღებელის ოსეტ ეფრემიძის გამოსვლის შემდეგ გაიმართა საუბარი. უბნის უფროსმა შაქრო რამიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს ავტომობილშენებლებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს იმ საქმეში, რომ გამოყენებინათ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში არსებული ჩამორჩენა, რომელიც დაშვებული იყო მეცხრე ხუთწლედის პირველ წლებში. საავტომობილო ქარხნის „კოლექტივმა ზედიზედ მეოხუთმეტეჯერ მოიპოვა სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. ქარხანას მიეცემა შრომის წითელი დროშის ორდენი. ქართველი ავტომობილშენებლები, განაცხადა მან, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით შესრულონ მეათე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ფართოდ განიხილავენ და ერთსულოვნად იწონეს ბერლინელ ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივში, ქალაქის ქიმიური, კვების, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში.

ᲓᲐᲕᲘᲙᲣᲠᲝᲒᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲛᲘᲯᲜᲔᲑᲡ

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ, 30 ივნისი. რაიონში უკრანდღვანი ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიურეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.

სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანმა ვ. სამუკაშვილმა უშუალოდ მინდორში ჩაუტარა საუბარი კომბაინერებს.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სწორედ ოლონ პროგრამა ავსდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის. მისი შესრულებისათვის ღიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობაა განხორციელებული. ამ უკანასკნელ წლებში, რესპუბლიკაში მომხდარი გარდაქმნების მეოხებით, გაუჯობესდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობაც. განუხრელად გითარდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგი.

ამ ცვლილებების სასიკეთოსტრაციოდ ორატორმა მოიყვანა ადგილობრივი ფაქტები. მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელთან შედარებით 1,5-ჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა მეცხრე ხუთწლედის დავალება ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ახალ მიჯნებს აღწევენ ჯფარიძელები მეათე ხუთწლედშიც: 1,5-ჯერ გაიზრდება ყურძნის წარმოება, 50 პროცენტით მარცვლეულის, 60-70 პროცენტით მეცხოველეობის პროდუქტებისა. გათვალისწინებულია მზესუმზარას, ბოსტნეულის, ხილის წარმოების გადიდება.

კოლმეურნეობის მოწინავე კომბაინერებმა გ. იაკობაშვილმა, გ. ქასრაშვილმა, ს. ყარაგეგეზაშვილმა, ი. ტოკლიკაშვილმა განაცხადეს, რომ ძალიონესა და ენერგიას არ დაიშურებენ პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებისათვის. ახლა მიმდინარეობს მოსავლის აღება. ისინი ყოველდღიურად ლებულობენ მეტ მარცვალს, ვიდრე ვგეგმთავ გათვალისწინებულა.

უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტებს ეცნობიან ნგრეთვე სოფლების ზემო ქედის, ზემო მარხვანის, ანაბოშიკის, ანხილოსკოლის კოლმეურნეები. აგიტატორები, პოლიტინფორმატორები, ლექტორები და პროპაგანდისტები სოფლის შრომელებს უკითხავენ პარტიის დადგენილებას. ისინი ერთსულოვნად აცხადებენ: „წარმატებით შეასრულებთ პარტიის წინასწარმეტყველებებს, მიეალწევთ მეათე ხუთწლედის მაღალ ოკეანეს".

ᲮᲣᲗᲨᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲑᲘᲜᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" მქსოველმა, კომუნისტმა ნ. ბიწაძემ, როგორც იტყვიან, ნაკვისტოს ანგარიში გახსნა.

10 წლის წინათ, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მან პროფესიულ-ტექნიკური ხასწავლებელი დაამთავრა და მუშაობა დაიწყო საწარმოში. მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგა და მას შემდეგ სულ წარმოების წარჩინებული. მეცხრე ხუთწლედის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული, კომბინატის ერთ-ერთი საუკეთესო მქსოველი რესპუბლიკის სხვა მოწინავე წარმოების მუშაკებთან ერთად გადალებულია მოსკოვში გამარჯვების დროშასთან.

ნ. ბიწაძე კვალიფიცირებული მქსოველია და კარგი დამრიგებელიც. მზრუნველად, საქმის ცოდნით ეკიდება სამუშაო ცვლის აღზრდის საქმეს. მისი 20 ნამოწაფარი ახლა კომბინატში მუშაობს და წარმოების მოწინავეა.

ნ. ბიწაძე საამქროს კომკავშირული ბიუროს წევრია და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საზოგადოებრივ მუშაობაში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ნ. ᲑᲘᲬᲐᲫᲔ.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲠᲝᲒᲝᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲑᲔᲯᲘᲗᲐᲓ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. კონიაკის კომბინატის კოლექტივმა 18 ივნისისათვის გაანადგა პროდუქციის გამომშვების ნახევარი წლის დავალება.

კოლექტივმა ვალდებულება იკისრა თვის ბოლომდე ნახევარი წლის გეგმის დამატებით გამოქვეყნ. 950 ათასი მანეთის პროდუქცია.

გეგმასთან შედარებით კონიაკის მწარმოებლებმა 2 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება და 0,3 პროცენტით შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება.

ეს რეფაქციის აცნობა კონიაკის კომბინატის დირექტორმა Პ. ᲠᲘᲑᲑᲐᲫᲘᲛᲔ.

ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ

ᲑᲣᲗᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგას ორჯონიკიძის სახელობის შახტა. მისმა კოლექტივმა 17 ივნისს ქალაქის სამოო საწარმოთა შორის ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ენერგეტიკული სათაობის მოპოვების ნახევარი წლის სახელმწიფო გეგმა.

ᲐᲛᲮ. Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. Ე. ᲒᲕᲠᲔᲙᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

29 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ბერლინში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. გერეკის შეხვედრა.

საუბრის დროს შეეხნენ საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ პრობლემებს.

ორი პარტიის ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია სკკპ XXV ყრილობისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. გერეკმა დიდი შეფასება მისეცეს ორი მოძმე პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს თანამშრომლობის ნაყოფიერ შედეგებს, და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საერთო კეთილეკ გაღრმავდეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობა ყველა დარგში.

შეხვედრამ გულწრფელ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. (საკ.).

ᲐᲛᲮ. Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. Ი. ᲙᲐᲓᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

30 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ბერლინში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ი. კადარს.

ორი პარტიის ხელმძღვანელები შეეხნენ ზოგიერთ საერთაშორისო საკითხს და აღნიშნეს, რომ ევროპას კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის მოწვევა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია კონტინენტის კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირების გზაზე.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. კადარმა ერთმანეთს გაუზიარეს, თუ როგორ სრულდება სკკპ XXV ყრილობისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებები, და სრული კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ დღენიადაგ ღრმავდება საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობა პარტიული და სახელმწიფო მიმართულებით.

შეხვედრამ ძმურ ატმოსფეროში ჩაიარა. (საკ.).

ᲐᲛᲮ. Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. Ნ. ᲩᲐᲣᲨᲔᲡᲙᲣᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

30 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ბერლინში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის ნ. ჩაუშესკუს მეგობრული შეხვედრა.

მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის მუშაობის შესახებ და გამოთქვეს რწმენა, რომ ამ კონფერენციის გადაწყვეტილები ხელს შეუწყობს კომუნისტურ პარტიათა თანამშრომლობის განვითარების, კეთილნაყოფიერ ზემოქმედებას მოახდენს კონტინენტის მთელ პროგრესულ რეაქციურ ძალებზე.

ლ. ი. ბრეჟნევი და ნ. ჩაუშესკუ შეეხნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებისა და განვითარების აქტუალურ საკითხებს.

შეხვედრამ გულთბილ, ამხანაგურ ატმოსფეროში ჩაიარა. (საკ.).

ᲐᲛᲮ. Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. Თ. ᲥᲘᲕᲙᲝᲕᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

30 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ბერლინში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ტ. ჟივკოვის მეგობრული შეხვედრა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის დიდი რწმენელობა, ერთმანეთს გაუზიარეს აზრი აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

შეხვედრაზე შეეხნენ სკკპ XXV ყრილობისა და ბულგარეთის კომპარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხს.

შეხვედრამ ძმური, მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა. (საკ.).

ᲐᲛᲮ. Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. Ზ. ᲰᲣᲡᲐᲙᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

30 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲩᲔᲠᲜᲘᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი 30 ივნისს ბერლინში შეხვდა და ესაუბრა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს გ. ჰუსაკს. საუბარმა ძმურ, მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

შეხვედრის დროს მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ორი პარტიისა და ქვეყნის ურთიერთობის შემდგომი განვითარების ზოგიერთ საკითხზე. აღაყოფილებთ აღინიშნა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობის განვითარება პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროში და ამ თანამშრომლობის ეფექტიანობის ზრდა.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და გ. ჰუსაკმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ავრეთვე ზოგიერთ საერთაშორისო საკითხზე. (საკ.).

ᲐᲛᲮ. Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. Ე. ᲒᲔᲠᲔᲙᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

30 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. გერეკის შეხვედრა.

საუბრის დროს შეეხნენ საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ პრობლემებს.

ორი პარტიის ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია სკკპ XXV ყრილობისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. გერეკმა დიდი შეფასება მისეცეს ორი მოძმე პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს თანამშრომლობის ნაყოფიერ შედეგებს, და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საერთო კეთილეკ გაღრმავდეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობა ყველა დარგში.

შეხვედრამ გულწრფელ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. (საკ.).

ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲡᲐᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ

30 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა. მეორე ღღეს კონფერენციის სხდომებზე გამოვიდნენ შემდეგი კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები: ლუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა — ამხ. **ი. ბროზ ტიტო;** შვეიცარიის კომუნისტთა მემარცხენე პარტიისა — ამხ. **ლ. ვერნერი;** გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა — ამხ. **ე. პონეკერი;** იტალიის კომუნისტური პარტიისა — ამხ. **ე. ბერლინგუერი;** ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიისა — ამხ. **დ. ფრაბნი;** პორტუგალიის კომუნისტური პარტიისა — ამხ. **ა. კუნიალი;** საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა — ამხ. **ჟ. მარშე;** ნორვეგიის კომუნისტური პარტიისა — ამხ. **მ. გ. კნუტსენი;** სან-მარინოს კომუნისტური პარტიისა — ამხ. **ე. გასპერონი;** უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა — ამხ. **ი. კადარი.**

სხდომების თავმჯდომარეობდნენ ამხანაგები: **ჟ. მარშე** (საფრანგეთის კომუნისტური პარტია), **ხ. ფლორაკისი** (საბერძნეთის კომუნისტური პარტია), **გ. მაკლენანი** (დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტია), **მ. ორიორდანი** (ირლანდიის კომუნისტური პარტია).

თავისი მუშაობის დასასრულს კონფერენციამ მიიღო საბოლოო დოკუმენტი „**ევროპის მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის**", და გადაწყვიტა გამოაქვეყნოს იგი.

კონფერენცია საქმიან, ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა.

კონფერენციის მონაწილე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა გამოთქვეს რწმენა, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული მიზნების განხორციელება შეუსაბამება ყველა ხალხის ინტერესებს და დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მთელ ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმეში. (საკ.).

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲗᲐᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲒᲘᲜᲔᲕᲠᲐ წლის 7 ივლისს ბერლინში იწყება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 30-ე სხდომა.

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, სესიის 30-ე სხდომაზე გაიმართება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობათა შეთაურების ღონისძიება.

30 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ" ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

„ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲘᲡ" მკითხველებმა იცით, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში მუშობას შეუდგა ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიებს კონფერენცია, რომლის თემაა: **„ევროპის მშვიდობისათვის, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის".** კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ დელეგაციის მეთაურმა ამხანაგმა **ლ. ი. ბრეჟნევმა.** „პრავდის" გულშინდელი ნომრის ფურცლებზე გამოქვეყნებულია ამ კონფერენციის მასალები, კერძოდ, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, რომელსაც გაზეთის პირველი და მეორე გვერდები უჭირავს.

რუბრიკა — „პარტიული ცხოვრება" — წარმოდგენილია ყაზახეთის კპ აღმა-ათის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის **ბ. ერპილოვის** წერილით **„შარკის ლირსება შენი ლირსებაა".**

სკკპ კემეროვოს საოლქო კომიტეტის ბიურომ მოიწონა სოციალისტური შრომის გმირის ვანდი სმირნოვის ბრიგადის თაოსნობა კოლექტიური დამრიგებლობის თაობაზე. „პრავდა" ამ თაოსნობის გამო 10 მაისს წერდა კორესპონდენციაში — **„მილიონერებს" შევსება ეყოლებათ".** რა ნრის ახალი ამ საქმეში? აი სწორედ ამაზეა მოთხრობილი ა. **ბოგაჩუკის** წერილში — **„თუ დამრიგებელი კოლექტივია",** რომელიც დაბეჭდილია რუბრიკით **„თაოსნობის ყველაკვალ".**

ახალგაზრდა დედებს უთუოდ დაინტერესებთ აქვე გამოქვეყნებული შენიშვნა **„დედები რიგში"** (რუბრიკა — **„უფროსები წერილების გამო").**

ბევრ საყურადღებო მასალას ნახავს მკითხველი გაზეთის მეოთხე გვერდზეც.

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

30 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ორი დღის მუშაობის შემდეგ დამთავრდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობის არჩევნებს მიეძღვნა.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **ი. ნ. ვეკუამ.**

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ.**

მან აღნიშნა, რომ ქართველი მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ უმნიშვნელოვანესი სახალხოსამეურნეო ამოცანების, კომუნისტური მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში. ქართველმა მეცნიერების მოღვაწეებმა, თქვა მან, საგრძნობი წვლილი შეიტანეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებაში.

„პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, ხაზგასმით აღინიშნა ამხ. შევარდნაძემ, რესპუბლიკის მეცნიერთა წინაშე ახალი პასუხსაგები ამოცანები დაისახა. საქართველოს მეცნიერების მოღვაწეთა მრავალათასიანი არმიის წარმომადგენლებმა მთელი თავიანთი მეცადინეობა უნდა მოახმარონ, უწინარეს ყოვლისა ამ საქმეს, რომ განუხრელად განახორცი

პარტიის შეფასების პასუხად: საქმე ახლა ჩვენზეა



კარგი დღე

მომავლის ფიქრები

პირველი გრძნობა, რასაც განიცდის ადამიანი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შეუობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების კითხვის დროს, — ეს არის ერთგული სიამაყე, დიდი სიხარული იმის გამო, რომ ქართველმა ხალხმა, ქართველმა კომუნისტებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს — ორი სიტყვა, საქართველო და ჩამორჩენა არ შეიძლება ერთად იხსენიებოდეს. სათქმელად ადვილია, მაგრამ რა უმაგალითო შრომა, რამდენი თავდადება, გონების რა სიფხიზლე დასჭირდა ჩვენს ხალხს, მის ხელმძღვანელებს, რომ გამრუდებული გზა ისევ გაემართათ და ადეკი ადამოთხოვებოდა ეროვნების. ურწმენობის მტანჯველ გრძნობას.

ყველას ვარაგად გვახსოვს, სადამდე მივედით იმ წლებში. მეურნეობის მართვა-გამგეობის აპარატი ისე იყო მოშლილი, რომ ჩარღვეული წინდას ვეღარაფერი აჩერებდა. გავიხსენოთ მარტო ერთი მაგალითი. ერთი დიდი ტრესტის სისტემაში, ჩვენი ეკონომიკის მეტად მნიშვნელოვან უბანს, რომ განაგებს, სამი ისე წახდა, რომ ინჟინრების ადგილზე ყოველგვარი ცოდნისა და პროფესიის უქონელი ადამიანები მუშაობდნენ, ხოლო თავად ინჟინრები აქეთ-იქით დაათრევდნენ ყასრებსა და ყუთებს, ხან დატვირთავდნენ. ხან კიდევ გადმოსცლიდნენ ავტომანქანებს, ავსებდნენ რეზერვუარებს, — ერთი სიტყვით, აკეთებდნენ ყველაფერს, რასაც სულაც არ სჭირდებოდა არამცთუ უმაღლესი სასწავლებლის, — საშუალო სკოლის დამთავრებაც კი.

ამ ტრესტის 313 ნომენკლატურული მუშაკიდან ნახევარზე მეტს არ გააჩნდა შესაფერი სპეციალური განათლება, და ეს იმ დროს, როდესაც ამ დარგის სპეციალისტები (280 კაცი უმაღლესი განათლებით) ჩარიცხული იყვნენ უბრალო მუშებად. აქ იყო სრული არევ-დარევა და გაუსაკუთრებლობა. იმ სისტემაში ქარხნის დირექტორად, ინჟინრის ნაცვლად პედაგოგი მუშაობდა. ტექნიკური კონტროლის უფროსად — ჩაის სპეციალისტი. თუმცა ხსენებული ქარხნის პროდუქციას ჩაისთან არაფერი საერთო არა ჰქონდა. უფროსი საქონელმცოდნის პოსტი ინგლისური ენის მასწავლებელს ეჭირა და ა. შ.

ეს, ასე არ ისხდნენ ადამიანები თავთავიანთ ადგილზე არა მარტო ტრესტებში და სხვა სამეურნეო თუ სამეცნიერო დაწესებულებებში, — არ ისხდნენ რაიონამასკომებში, სამინისტროებშიაც და უფროო ზევითაც. რა თქმა უნდა, ასეთი ვითარება მარტო ქვეყნის ეკონომიკას კი არ ლუთხრიდა ძირს, ის ფიზიკურად ადამიანს სულიერად, უნერგავდა მას ბოროტების ყველაზე საძულველ .გრძნობას — ცინიზმს.

ბევრი რამ არის საჭირო, რომ ახალგაზრდა კაცი ცოცხლად მოკლა და ცოცხლად დამარხო? ამისათვის საკმარისია სინდისზე ხელი აიღო და ორიანი დაუწერო მას, როდესაც ხუთიანი ეკუთვნის... ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი უფლებო ორიანი დაიწერა საქართველოში იმ წლებში.

მაგრამ აღსრულდა...

როგორც ძველად დიდი გაჭირვების დროს ხდებოდა ხოლმე, ახლაც გამოჩნდნენ გამბედული, გონებაფხიზელი, საქართველოს ტრფიალი ადამიანები, წინ რომ აღუდგნენ ამ განუკითხაობას. არ შეუშინდნენ არავითარ ცილისწამებას, არავითარ მოჭარას და გუთნის კვალი ბოლომდე სწორად გაიტანეს. ხალხი ათმაგად გადაუხდის მათ ამ სიკეთეს, სიქველეს, სიყვარულს, ვინაიდან ვინც ჭირში ქვეყანას გამოადგა, ლხინის დღესაც ის გაუთენებს თავის ხალხს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ ნამდვილად მთელი გულით აღფოთოვანა ყველა, ვინც დაუღალავად შრომობს და იღვწის ახლის, კომუნისტურის დასამკვიდრებლად. მათი შრომის ნაყოფი, მთელი მათი საქმიანობა ამ დადგენილებაში დახასიათებულია, როგორც დიდი დადებითი ძვრები. აქ აღნუსხულია რესპუბლიკის ყველა სასახელო გამარჯვება, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია ყველაფერს აკეთებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, მათი პოლიტიკური შეგნებულობისა და შემოქმედებითი თაოსნობის ზემდგომი ზრდისათვის. აქ ბევრმარტივად ისტორიულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ეროვნულად გაიზარდა პარტიული ორგანიზაციების ავტორიტეტი, გაძლიერდა მათი წარმმართველი და მაორგანიზებელი გავლენა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური და სულიერი ცხოვრების ყველა უბანზე; რესპუბლიკამ მოიპოვა თვრიად მნიშვნელოვანი წარმატებები არა მარტო სახალხო მეურნეობის, არამედ კულტურის, იდეოლოგიის ფრონტებზეც, მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის ბრძოლაშიც.

ქართული მწერლობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ როგორც მუდამ, ახლაც პირველი დაძახილისთანავე ერთგულად და ერთსულოვნად გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას. შრომითი გამარჯვების დიდ თრონტზე მექანიზატორსა და მწყემსს, მევენახესა და მეფაიფის მწერალი ამოუდგა მხარში, დაუოლია მარჯვენა, სიმხნევე შემატა, ხალისი შემატა არა მარტო კოლმეურნეს, არამედ თვითონ პეტესაც დიდი სარგებლობა მოუტანა. ამან განაპირობა ახალი აღმავლობა დიდი მოქალაქეობრივი პოეზიისა, რომლის ტრადიცია მუდამ ძლიერი იყო ქართული ლიტერატურის ისტორიაში. გიხსენეთ ილია ჭავჭავაძე. აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა... რამდენი შესანიშნავი ლექსი, რამდენი ბრწყინვალე შედევრი მიუძღვნეს მათ გულთნამდელ, ყანის მკელს, ჯეკილს, ვენახს, საერთოდ შრომას გლორიფიკაციას, პურს რომ აშენებს და ინახავს მთელ კაცობრობას.

რომელი პატიოსანი კაცის გულს არ გააბარებს ეს დადგენილება, მაგრამ ჩვენ ყველას უნდა გვახსოვდეს, ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ ყველა ფონი გაკლილი არ არის, რომ საჭიროა ისევ და ისევ დაძაბული მუშაობა იმ ამოცანების გადასაჭრელად, რასაც ჩვენგან პარტია მოითხოვს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე,
მწერალი, ალმანახ „ხაუნჯეს“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გიორგი ნატროშვილი,
მწერალი, უურნალ „ნაპოლეონის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საზაფხულო არდადეგების პერიოდში რესპუბლიკის სტუდენტთა და მოსწავლეთ ახალგაზრდობის მაღალ დონეზე შრომითი საქმიანობის ორგანიზაციის საკითხებს მიეძღვნა თათბირი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა 24 ივნისს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსწავლე ახალგაზრდობის საზაფხულო მუშაობის ხელმძღვანელობის მთავარობის კომისიის წევრები, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული მუშაკები, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები და პარტიული კომიტეტების მდივნები, იმ სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სადაც ზაფხულში იმუშავებს მოსწავლე ახალგაზრდობა, პრესის, რადიოს, ტელევიზიის წარმომადგენლები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჭ. პატიაშვილმა.

ინფორმაცია რესპუბლიკის სტუდენტთა საზაფხულო შრომითი სემესტრისა და მოსწავლე ახალგაზრდობის მეზღვეთ შრომითი მეოთხედის ორგანიზაციის შესახებ თათბირზე გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. შარტავამ.

სტუდენტთა და მოსწავლეთა რაზმები კოლექტივიზმისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის დიდმნიშვნელოვანი ფორმა ჯარა.

პარტია და მთავრობა ამ საქმეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რასაც მოწმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 26 მაისის ერთობლივი დადგენილება „სტუდენტთა რაზმების საზაფხულო სამუშაოების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული ერთობლივი დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლების სტუდენტთა და მოსწავლეთა საზაფხულო სამუშაოების 1976 წელს ორგანიზებულად მოწყობისა და ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებში ჯეროვანი შეფასება აქვს მიცემული ახალგაზრდობის შრომას, დასახულია ზაფხულში სტუდენტთა და მოსწავლე ახალგაზრდობის შრომის ორგანიზაციის ღონისძიებანი.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები აკისრია, განსაკუთრებულ ორგანიზატორებმა, წელს ქართველ სტუდენტთა და მოსწავლეთა შრომის რაზმებს. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა კავშირში გაკეთებულ მოხსენებაში შრომითის სემესტრში 17 უმაღლესი სასწავლებლის, 28 ტექნიკუმის, 29 პროფესიონალ-ტექნიკური სასწავლებლის, 2.380 საშუალო და რვაწლიანი სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა დიდი რაზმი იმუშავებს სხოლენსკის ოლქში, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები — ქალაქ გაგარინში, ქუთაისის პოლიტექნიკური და პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტები — მურმანსკის ოლქში, სოხუმის მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები — დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობაზე — კამის ავტოქარხნის შენებლობაზე.

სულ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გავა ორი ათასამდე სტუდენტი. მათ უნდა შეასრულონ ხუთი მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

წელს ფართოდდება ინტერნაციონალური შრომითი რაზმების საქმიანობა. სტუდენტთა შრომის რაზმებს გაეცალთ თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტი, ასევე ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ალბანეთის, ვიეტნამის, ინდოეთის, ეგვიპტის, ალჟირის, ბურკინა-ფასოს, ეთიოპიის, ინდონეზიის, ირანის, ლიბანის, ლიბიის, ნიგერიის, ფილიპინების, ჩილეს, ეკვადორის, ბოლივიის, ბრაზილიის, ბელგიის, ინგლისის, ესპანეთის, ავსტრიის, ბელგიის, ბერძნეთ

მსოფლიოს ამბები

30 ივნისი

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკლესიო და ეცხოელთის პრესის საგენტოები იტყობინებიან

საბჭოთა შეკვეთებით

● სოფია. ვარნის გ. დიმიტროვის სახელობის სახელმწიფო გემთაშენებელი ქარხნის გემთმშენებლებმა საბჭოთა კავშირისთვის ააგეს კიდევ ერთი 25 ათასი ტონა წყალწყვეტ მშრალტვირთიანი გემი. ეს გემი, რომელიც „საბჭოთა მხატვარი“ უწოდეს, გაეგზავნება საქართველოს სანაოსნო ქალაქ ბათუმში.

● ბერლინი. 185-ე ტრაულერ-რეფრიჟერატორი „ატლანტიკის“ ხერხიდან ჩაუშვეს წყალში გემთაშენ „მატიას-ტეზნენერფტში“. ასეთი გემების აგება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 10 წლის წინათ დაიწყო. პირველი ასეთი ტრაულერი 1966 წელს ასამარის გემთმშენებლებმა ააგეს საბჭოთა ნავსადგურ ნახოდკის თევზსაჭერი ბაზისათვის.

ვისმარის ესტაფეტა მიიღეს რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი გემთსაშენის მუშებმა შტრალზუნდში. აქ სსრ კავშირის შეკვეთით შენდება ახალი ტიპის მძლავრი თევზსაჭერი გემები — სუპერტრაულერები „ატლანტიკი“. ისინი აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობით, რომელიც საშუალებას აძლევს მეგადურებს არა მარტო ეძებნონ და დაიჭირონ თევზი, არამედ გადაამუშაონ კიდევაც ზღვის პროდუქცია.

● ბელსინკი. ყინულმჭრელი „კაპიტანი მ. იზმაილოვი“, რომელიც საბჭოთა კავშირის შეკვეთით ააგეს ჰელსინკში ფირმა „ვიარტსილის“ გემთსაშენში, ადიეცი შემკვეთს.

ეს პირველია იმ სამ ყინულმჭრელთაგან, რომლებიც აქ საბჭოთა კავშირისათვის შენდება.

დამოუკიდებლობის პირველი დღე

ვიეტნამი. (სეიშელის კუნძულები), (საკლესი). სეიშელის დამოუკიდებლობის პირველი დღე აღინიშნა საზეიმო ცერემონიით ქალაქ ვიქტორიის სტადიონზე, სადაც ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს პრეზიდენტმა ჯეიმს მენჩემამ, პრემიერ-მინისტრმა და მინისტრთა კაბინეტის წევრებმა ქვეყნის კონსტიტუციისა და მასში დასახული მიზნებისადმი ერთგულების ფიცი დადეს.

შემდეგ ჯეიმს მენჩემამ სიტყვა წარმოთქვა შეკრებილთა წინაშე. დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე სეიშელის ისტორიაში შევა როგორც ყველაზე დიადი თარიღი მთელი ისტორიის მანძილზე, ხაზი გაუსვა მან. თავისუფლების გზა იოლი როდი იყო. დღეს ჩვენ ვიწყებთ სეიშელის დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის დიად საქმეს. გუდგებით რა ამ ამოცანის შესრულებას, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი გადაჭრის გასადები ამიერიდან ჩვენს ხელთაა.

ახალგაზრდა რესპუბლიკის სახელზე მოდის მრავალი მისალმება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებისგან. ვიქტორიის რადიოსი წაიკითხეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მისასალმებელი წერილი.

გამოხმაურება

ერთიანობის დროშით

მსოფლიო ხაზოგადოებრიობა, პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებანი აშუქებენ ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციას, რომელიც ბერლინში გაიხსნა. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს ფორუმი მაღლა სწევს ევროპელ კომუნისტთა ერთიანობის დროშას. უურადღების ცენტრშია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა.

უდიდესი საინფორმაციო სააგენტოები, რადიოსა და ტელევიზიის სადგურები აღნიშნავენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ გამოსვლას იმისათვის, რომ კიდევ უფრო განვითარდეს ბრძოლა ევროპის მშვიდობის, უშიშროებისა და საოციალური პროგრესისათვის. მოპყავთ დასასვენებელი, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა მისცა ახალ ევროპას, საბჭოთა კავშირის შტაბიც, მიზანმიმართულ ბრძოლას ამ კონტინენტისა და მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის.

დღევანდელი ევროპა, ხაზს უსვამს **ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო**, მნიშვნელოვანწილად იმის ნაყოფია, რომ წარმატებით შენდება სოციალიზმი და კომუნიზმი კონტინენტის მთელ რიგ ქვეყნებში. იგი აგრეთვე იმ მტკიცე და განუხრელი ბრძოლის ნაყოფია, რომელსაც სოციალიზმის ქვეყნები აწარმოებენ ნატო უდიდესი პასუხისმგებლობა მუშათა კლასის ინტერესებისათვის.

ვარშავის „ტრიბუნა ლუდუ“ წერს: ბერლინის კონფერენცია კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისადმი მისწრაფების პრაქტიკული გამოხატულებაა. სოციალისტურ სახელმწიფოთა გაერთიანება, წერს გაზეთი, მთავარ მორალურ და მატერიალურ ძალად გადაიქცა კაპიტალისტურ ძალთა პროგრესისა და მშვიდობიანი მომავლისათვის ბრძოლაში.

ჩეხეთ კონტინენტის კომუნისტური პარტიები, წერს იტალიური „უნიტა“, იხილავენ პრობლემებს, რომლებიც შეგვიძლია განვიხილოთ ორ ასეულ ეტაპად: ევროპის მშვიდობა, უშიშროება და სოციალური პროგრესი.

ბრძოლა ამისათვის, რომ ევროპაში მტკიცე მშვიდობა დამკვიდრდეს, ჯერ არ დამთავრებულა, წერს ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო“. ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიები შეიკრიბნენ ბერლინის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში, რათა ევროპის ყველა ხალხს უჩვენონ ამ ბრძოლის შემდგომი პერსპექტივა.

(საკლესი, 30 ივნისი).

საკლესი გვაძლევს

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

მცირდება მოთხოვნა ახალ გემებზე

ტოკიო. კაპიტალისტურ ქვეყნებში 1980 წელს 1975 წელთან შედარებით ორი მესამედით და მეტად შემცირდა მოთხოვნა ახალ გემებზე. ახალ ტანკერებზე მოთხოვნა კი ნულამდე დაეცემა, ნათქვამია იაპონიის გემთმშენებლობისა და ნაოსნობის საბჭოს მოხსენებაში. ეს ტენდენციები შეფფოთებას იწვევენ ქვეყანაში, რომელიც ამ ბოლო დროამდე გემების მსოფლიო ტონაჟის ნახევარს აწარმოებდა. 1980 წლისათვის, აღნიშნავენ მოხსენების შემდგენელნი, იაპონიის გემთმშენებლობის მოცულობა თითქმის მესამედით შემცირდება, ეს კი ნიშნავს, რომ ზედმეტი მუშახელი წარმოების ამ დარგში 100 ათას კაცს გადაამეტებს.

მასობრივი დათხოვნები ესპანეთში

მადრიდი. მადრიდის „უტჩინსონის“ საწარმოს კიდევ 24 მუშამ და მოსამსახურემ მიიღო უწყება დათხოვნის შესახებ. ამ საწარმოში დასაქმებული 300 კაციდან უკვე 73 დათხოვეს. დათხოვნის მიზეზია ის, რომ მუშები უარს ამბობენ შეწყვეტონ გაფიცვა, რომელიც მათ გამოაცხადეს ხელფასის მომატების მოთხოვნების მხარდასაჭერად.

გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება

ბონი. დანიის, შვეიცის, იუგოსლავიის, ავსტრიის, საფრანგეთის, ნორვეგიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტუდენტთა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობენ „პროფესიების აკრძალვას“ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — კომუნისტების, სოციალ-დემოკრატების, პროფკავშირიელთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა აქტივისტების პოლიტიკურ დისკრიმინაციას. ამის იწყება დასავლეთ-გერმანული ორგანიზაცია „გერმანელ სტუდენტთა გაერთიანებული კავშირები“.

ახალი ბიულეტენის პირველი ნომერი

ლისაბონი. „მშვიდობა და მეგობრობა“ — ასეთი სახელწოდებით გამოვიდა ბიულეტენის პირველი ნომერი, რომლის გამოცემა დაიწყო „პორტუგალია-სსრ კავშირის“ მეგობრობის ხაზოგადოებამ. საზოგადოების აქტივისტები მოწონაგე სტატიები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ბიულეტენმა „ხელი უნდა შეუწყოს“ პორტუგალიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთგაგების გამმტკიცებას“.

ფოტოინფორმაცია

ამოსამბიკის სახალხო რესპუბლიკას, რომელმაც დამოუკიდებლობა ფრელიმოს ხელმძღვანელობით მოზამბიკელი ხალხის შეუპოვარი ბრძოლისა და მთელი მსოფლიოს პროგრამული ძალების მხარდაჭერით მოიპოვა, შეეგებოდა აქვს თავისი პასუხისმგებლობა ზიმბაბვის ხალხის ეროვნული განთავისუფლების საქმეში.

სურათზე: მაპუტუს (მოზამბიკის დედაქალაქი) მცხოვრებთა მანიფესტაცია, რომლის მონაწილეებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ზიმბაბვეს ხალხს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და თქვეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არ დაუშვანენ. სმიტის ფაშისტური რეჟიმის პროვოკაციული მოქმედება მოზამბიკის წინააღმდეგ.

ცაბ-ახალი ამბების სააგენტოს ფოტო.

ეს საინტერესოა

თირკმელი... მკერდზე

მეორე მსოფლიო ომის წლებში ჰოლანდიელმა ექიმმა უილემ კოლფმა ხელოვნური თირკმლის შექმნით მედიცინაში ნამდვილი სენსაციი მოახდინა. ომამდე დაახლოებით 42 ათასი ავადმყოფი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მზოლოდ ამ მანქანის შეშველნიშვნით ცოცხლობს. მაგრამ ეს გარკვეულ უხერხულობასთან არის დაკავშირებული: ავადმყოფი იძულებულია კვირაში სამჯერ მივიდეს კლინიკაში და 5-6 საათის განმავლობაში იწვეს ლოგინში, სანამ ხელოვნური თირკმელი გაწმენდს მის სისხლს...

და აი, შარშან ნოემბერში, იმავე ექიმმა, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების ქ. სოლტ ლეიკ-სიტიში „იუტას უნივერსიტეტში მუშაობს, ბრუკლინის სამედიცინო ცენტრში შეკრებილ საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინა გასაკვირვებელ ხელოვნური თირკმელის ახალი, შედარებით პორტატული საცდელი მოდელი. იგი დასახლებით 7 კილოგრამს იწონის, აკორდეონის ზომისაა და ავადმყოფს მკერდზე აქვს ხარჯცელებით დამაგრებული. ავადმყოფი თავისუფლად მოძრაობს, მაგრამ ყოველ 20 წუთში ერთხელ უნდა მოუერთოს აპარატი სპეციალურ რეზერვუარს. მასში დახლოებით 20 ლიტრი სპეციალური სსარია, რომლის საშუალებით ავადმყოფის სისხლი ტოქსიკური ნარჩენებისაგან იწმინდება.

მეცნიერების გარაუდით, ხელოვნური თირკმელის ასეთი მოდელი საშუალებას მისცემს ავადმყოფს ეწეოდეს უფრო ნორმალურ ცხოვრებას. ზემოხსენებული კონფერენციის მონაწილეთა შეხედულებით ამ მოდელის კონსტრუქცია გვაძლევს რწმენას, რომ უახლოესი 3 წლის განმავლობაში შეიქმნება ახალი პორტატული ამ სატყვის სრული მნიშვნელობით, ხელოვნური თირკმელი.

უცხოეთის პრესის მასალებიდან.

ქრონიკა

ძვირფასი ნაპოვნი

ლონ. ძველი ხამარხები და ხაოჯახო ნივთები აღმოაჩინეს ინდოელმა არქეოლოგებმა დასავლეთ ბენგალიაში ბანგის ველზე მომდინარე გათხრების დროს. ეს ძვირფასი ნაპოვნები გამეკუთვნება სხვადასხვა ისტორიულ ეპოქას, დაწყებული მაურიის დინასტიიდან (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 322-ე წელი) და დამთავრებული დიდი მოგოლების ადრეული პერიოდით. ნაპოვნ საგნებს შორისაა თიხის ლარნაკები, მონადირეებისა და სხვადასხვა ცხოველების გამოსახული თიხის ფიგურები, ხის ნაკეთ ნარჩენები. დიდი ინტერესი გამოიწვია ლრმა ჭის გამოშვერილ ბურთი ნაგებმა კედლებმა. არქეოლოგებმა გათხრების ადგილზე აღმოაჩინეს აგრეთვე ვეცხლის ფულის განძი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე II-ე საუკუნეშია მოჭრილი.

დარბაზობა სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა პატივსაცემად

30 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში შეიკრიბნენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, მოძმე სოციალისტური ქვეყნების არმიების ადგილნარები, ადმირალები და თანაცარები, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს საბჭოთა უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი. კურსდამთავრებულთა დარბაზობა გაეთართეს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის თავკრამა პოლიტიკურმა სამმართველომ.

დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, არმიის გენერალმა დ. თ. უსტინოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან გულითადად მიულოცა კურსდამთავრებულთა სწავლის წარმატებით დამთავრება. გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მილოცვა და მისი სახელით უსურვა ყოველივე საუკეთესო და წარმატებები შემდგომ მუშაობაში.

შეკრებილნი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას სამხედრო აკადემიებს კურსდამთავრებულთა.

დამსწრეთა სახელით სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, არმიის გენერალი [illegible] ... სსრ კავშირის [illegible] სსრ კავშირის [illegible] ... ბირად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულნი პირნათლად გამამართლებენ პარტიისა და ხალხის დიდ ნდობას, ღირსეულ წვლილს შეტანენ საბჭოთა შეიარაღებული ძალების, სოციალისტური თანამეგობრობის ყველა არმიის საბრძოლო ძალიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

(საკლესი).

ვითარება მწვავდება

ბეირუთი, 30 ივნისი. (საკლესი). გუშინ გაფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა ბეირუთსა და მის გარეუბნებში, საღამა და ქვეყნის მთიან რაიონებში მემარჯვენე ძალების რაზმები მერე დღეა უტევენ პალესტინელ ლტოლვილთა ტელ ზაატარისა და ჯისრ ალ-ბაშის ბანაკებს, რომლებიც დედაქალაქის აღმოსავლეთ გარეუბნებში მდებარეობს. პრესის მონაცემებით, ამ რაიონში ბრძოლების შედეგად დაიღუპა ათასზე მეტი და დაიჭრა ორი ათასზე მეტი კაცი. დღეს გამოაცხადეს, რომ არტილერიისა და ნაღმსატყორცნის ცეცხლის დაშენის შედეგად და 130 ტანკის მხარდაჭერით მემარჯვენეთა სამხედრო ნაწილებმა ხელთ იგდეს ჯისრ ალ-ბაშის ბანაკი. ეს შეტევა შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ ბოლო თვის მანძილზე მემარჯვენე ძალები შეუფერხებლად იღებდნენ იარაღსა და ტყვია-წამალს ბეირუთის ჩრდილოეთით მდებარე ჯუნიის ნავსადგურიდან, საიდან, როცა სირიელების მიერ შემოღებულმა ბლოკადამ მემარჯვენის წყაროებს მოსწყვიტა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა.

ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელობა ამტკიცებს, ომი ბეირუთის ბრძოლებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ბოზიციებს ითანხმებს, ეს ომი ეს-სამანის მთიან რაიონში“. მემარჯვენე ძალები, აღნიშნულია განცხადებაში, ცდილობენ განადგურონ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა და გათიშონ ლიბანი. ლიმითი სირიის ჯარებმა კვლავ დაუშინეს ცეცხლი ქალაქ საიდს და სცადეს ბეირუთისაკენ გაჭრილიყვნენ. ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის გაერთიანებულმა რაზმებმა შეაჩერეს სირიელთა ოერი.

პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ს. ჰალაფმა აქ გააცხადა, რომ მოცულნთა შემდგომ განვითარებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება მემარჯვენე ძალებს, რომლებიც უარს ამბობენ ეცეცხლის შეწყვეტაზე.

ლიბანის პრემიერ-მინისტრმა ა. ჯალუდმა ბეირუთში ბემარჯვენეთა კურსი—ლიბანში კონფლიქტის გაღვივებისა და მოწინააღმდეგეთა შორის მოლაპარაკების მოწყობის ჩაფუშვის კურსი.

პეკინი ტიანანმენის ცენტრალურ მოედანზე 5 აპრილს მომხდარი დრამატული ამბები მოწმობს, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობაში მრავალი წლის მუშავდ შინაპოლიტიკურ ბრძოლაში ახალი ეტაპი დაიწყო. მისი თავისებურება ის არის, რომ ჩინეთის განვითარების გზების საკითხის გარშემო მიმდინარე ბრძოლაში განხდა ახალი არსებითი ელემენტი — ჩინელი ხალხის ბრკოლა ორ პროტესტი მაო ძე-დუნის პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ. მოელენთა ასეთი შემობრუნება არ შეიძლება მოულოდნელად ჩათვალოს. ხალხის მასების უკმაყოფილება ცხოვრების დაბალი დონით, პოლიტიკური მდგომარეობის არასტაბილურობითა და ეკონომიური განვითარების ტემპების შენელებით, რაც მაო ძე-დუნის ავანტიურისტული და ეოლუნტარისტული პოლიტიკის შედეგია, დიდი ხანია გროვდებოდა და უკვე არაერთხელ ეხილინა თავი.

ეს უაღრესად დამაჯერებლად ცხადყოფ ნაპოვნეა და ჩინეთის ბევრ სხვა ქალაქში შარშან ნაფეხურში და შემოდგომაზე მიმართარა მოელენარებან. როგორც ცნობილია „უწესრიგობა“ ამ ქალაქებში გამოიწვია მაოისტებს შეტევამ მშრომელთა ცხოვრების დონეზე „ბურჟუაზიული სამართლის შეზღუდვის“ კამპანიის მსვლელობაში. „5 აპრილის ამბებმა“ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ მაო ძე-დუნის პოლიტიკური კურსადმი წინააღმდეგობის თანდათან მესი რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული აშკარა მასობრივი გამოსვლების ფორმა ენიჭება. პოლიციის, უშიშროების ძალებისა და მოლაშქრეთა დახმარებით მაოისტურმა ხელისუფლებამ ამჟერად გარეკეს დემონსტრანტები, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მაო შეძლეს აღმოეფხვრათ ჩინელი ხალხის სწრაფად ზრდადი ოპოზიცია მაო ძე-დუნის პოლიტიკისადმი.

როგორ ცდილობენ „5 აპრილის ამბების“ ახსნას ჩინელი ლიდერები?

8 აპრილს გაზეთ „ენენმინ ჟიბაოში“ „გაზეთის მუშა, გლეხი და ჯარისკაცი კორესპონდენტების ცნობების“ სახით გამოქვეყნდა სარდაქციო სტატია, რომელშიც მაოისტებმა სცადეს თავისებურად განმარტონ ტიანანმენის მოედანზე მომხდარი ამბები. უკვე თვით თავტმა ამ ამბებს დეტალური გაშუქებისა უჩვეულო მოკლეა მაოისტური ჩინეთისათვის, სადაც პარტიული ყრილობები და სახალხო წარმომადგენელთა სრულიად ჩინეთის კრებებს სესიები კი უაღრესად საიდუმლოდ მიმდინარეობს და ხალხს აწვდიან ინფორმაციის მხოლოდ მცირედ ნაწილს, რომელიც ხელისუფლებას მიაჩნია პეკინის ხელმძღვანელობას.

აშკარაა, მოელენარებამ ისეთი გაქანება მიიღო, რომ ხელისუფლებამ მისი დაფარვა ვერ შეძლეს. ამ სტატიის წაკითხვისას მაშინვე ეპყრობს ყურადღებას ავტორების მძაფრი თვალი დაადანინონ ტიანანმენის მოედანზე მომხდარი მანიფესტაციების მასშტაბები და მნიშვნელობა. მაგრამ ისინი ამკარად თავს ვერ ანებებენ ამას. მაგალითად, სტატიაში ავტორები ამტკიცებენ, რომ პეკინში ნომერ დარი „პოლიტიკური ინციდენტი“ „პროგრესიულად გამოიეენეს ერთმა მუშა-ლასტარიმა მტრებმა“, მაგრამ ამავე დროს სტატიის ავტორები იძულებულნი არიან აღიარონ, რომ ტიანანმენის მოედანზე დემონსტრაციებში ასი ათასამდე კაცი მონაწილეობდა.

გაზეთი ამტკიცებს, რომ „კლასობრივი მტრები“ მოედანზე შეკრებილთა მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენდნენ, შეკრებილთა უმეტესობა იყვნენ „ბრმელენი, რომლებიც შეიარაღებულნი, რომ ეცქინათ, რა ხდებოდა. ამავე დროს სტატიის ავტორები თავიანთ თავს ეწინააღმდეგებიან. რომ ადგილზე დემონსტრანტების ცდა ლახვრული იყო ჩინეთის ასეთი დიდი ქალაქები, როგორიც არის უსი, სუჭოუ, ლიაონი.

ფრიად ღირსშესანიშნავია ისიც, რომ „ენენმინ ჟიბაო“ იძულებული იყო ოფიციალურად ეღიარებინა ტიანანმენის მოედანზე მომხდარი გამოსვლების ანტიმაოისტური მიზანმიმართულება. სტატიაში ნათქვამია, რომ „ბოროტგანზრახველებმა“ „ბრძოლის მახვილი მიმართეს დიდი ბელადის თავმჯდომარე მაო ძე-დუნის წინააღმდეგ“. ამას მოწმობს პეკინის „რეგიმის“ თავმჯდომარის უ დეს სიტყვაც, რომელმაც მოიწოდა „დაეცვათ თავმჯდომარე მაო ძე-დუნი და მისი ვეზი“.

თუმცა ანტიმაოისტურ გამოსვლებს ჩინეთის ხელისუფლები „ერთ მუშა კლასობრივ მტრებს“ მიაწერენ, ფაქტები სხვა რამეს მოწმობენ. ვინც თვალყურს ადევნებს ჩინეთში მოვლენათა განვითარებას, არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს ერმი ცვლილებებს, რომლებიც ჩინელი ხალხის შეგნებაში ხდება. თუმცა მრავალი წელია ინერგება მაო ძე-დუნის ბიოოვნების კულტი, მიუხედავად იმისა, რომ სისტემატიურად ხდება მოსახლეობის დამუშავება „დიდ მესაჭის იდეების“ სულისკვეთებით, ასეულ ათასობით თავმოყრილნი აშკარა თანაგრძნობით ისმენდნენ ორატორთა ანტიმაოისტურ გამოსვლებს, ხოლო, როგორც ზოგიერთი ფეხზელი „ორესპონდენტი ეწერა, მოედანზე დამსწრეთა შორის ასეთი ლოზუნგებიც „ი გაისმოდა: „ძირს მაო ძე-დუნი!“

თრიად დამახასიათებელია ამ თვალსაზრისით ლეგენდი, რომელსაც დემონსტრანტთა შორის ავრცელებდნენ. ეი ზოგიერთა სტრიქონი ამ ლეგენდიდან:

ჩინეთი დღეს ეს აღარ არის,
რაც გუშინ იყო.
და ხალხიც ისე გაბრუებული
აღარ არის,
ხამუდამოდ ჩაბარდა წარსულს
ცან ში-ხუანის ფეოდალური
ეპოქა,
ჩვენ გვწამს მარქსიზმ-
ლენინიზმი...“

ცარიელ არის ცნობილი, რომ მაო ძე-დუნს არაერთხელ გამოუთქვამს თავისი აღტაცება ძველი ლოზუნგ ბამბერატორ-ტარიხელ მიეტანით ტიანანმენზე მდებარე ისტორიულ მუზეუმზე, მოგვითხრობენ, რომ მაო ხელთ იგდეს და განადგურეს მცველი ჯარების ყაზარმები. ცხადია, ესოდენ დიდ უწესრიგობას მარტო „ერთი მუშა ადამიანები“ ვერ მოახდენდნენ.

მაოისტები ამტკიცებენ, „მეფილვარების წამომწყენნენ“ მეტად ეზოლირებული ეყვენ“ და ხალხი მათ სამმაგთიით არ შეხვედრიათ. მაგრამ უცხოელი ეკურნალისტები, რომლებმაც თავისი თვალით ნახეს ეს ამბები, აღნიშნავენ, რომ დემონსტრანტთა ყველაზე მეტი ბირთვის მოქმედთა ბანერს ეს ამბები, აღნიშნავენ, რომ „ბრძოლის მოქმედთა ბანერს ეს ამბები, ეტანებენ ბანერებს, ეტანებენ ბანერებს, ეტანებენ ბანერებს, ეტანებენ ბანერებს, ეტანებენ ბანერებს, ეტანებენ ბანერებს, ეტანებენ ბანერებს, ეტანებენ ბანერებს, ეტანებენ ბანერებს, ეტანებენ ბანერებს, ეტანებენ ბანერებს, ეტანებენ ბანერებს, ეტანებენ ბანერებს, ეტანებენ ბანერებ

გაკოტრებული პოლიტიკა

„ჩინეთი დღეს ის აღარ არის, რაც გუშინ იყო“

ხალხს, და ეგრეთ წოდებულ „პრაგმატიკოსთა“ ფრაქციის შორის, რომელიც ცდილობენ ეზრუნველყონ მოდერნიზაცია და ეკონომიკის სტაბილური განვითარება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მმართველ ზედა ფენაში არსებული წინააღმდეგობანი ნათლად ჩანდა ბოლო დროს. ეროვნულ-პატრიოტული ძალების ბოლო ბანერ-ლოზუნგ ბანერ-ლოზუნგ ... [illegible] ... ბანერ-ლოზუნგ ... [illegible] ... ბანერ-ლოზუნგ ... [illegible] ...

საუერლოვან ვლანტაციებში



ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲑᲝ!

ᲐᲛᲐᲠᲔᲚ მეჩაიეებს გაცხარებული დღეები აქვთ. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, იმისათვის, რომ განახორციელონ „ხარისხიანი ჩაის ფოთლის დამზადებისა და გადამუშავების ტემპის დაჩქარებისათვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

სოფლის მშრომელებისათვის ზრუნავენ ხელვაჩაურის რაიკოოპერატივის მუშაკები. ახალსოფელში, მახოში, გონიოში, ჭარნალში, ჩაისუბანსა და სხვა სოფლებში გახსნილია სასადილოები პლანტაციების მშრომელებისათვის.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოდან — სადილი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახოს კოლმეურნეობის საპლანტაციო სასადილოში. კერძებს ამზადებს მზარეული ოსმან საფარიძე; „ავტოფარდულმა“ სოფელ ზანაქეთის მეჩაიეებს სამრეწველო საქონელი ჩამოუტანა; სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობის კომკავშრომლები (მარცხნიდან მარჯვნივ): თემურ ლაბაძე, გულნაზი სურმანიძე და ნანა კონცელიძე უშვებენ „საველე ფურცელს“, რომელშიც მადლობას იხდიან მეჩაიეებზე ზრუნვისათვის.

ნ. ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲔᲕᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲤᲐᲥᲢᲘ

13 ᲥᲣᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

რამდენი ქულაა საკმარისი მანილის საზონათაშორისო ტურნირში საარჩიო სამეულში მოხვედრისათვის? მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ საამისოდ 13 ქულაა საჭირო. და აი დღეისათვის მონაწილეთა გარკვეული ჯგუფი უკვე ხალოვოდ გამოეთხოვა სამეულში მოხვედრის ყოველგვარ ოცნებას. პრეტენდენტები საამოდ დარჩნენ, მაგრამ მათი რიგები ყოველდღიურად მცირდება.

გადადებული პარტიების დამთავრებასას მეკონგი სწრაფად, უკვე მეოთხეტე სვლაზე შეუთანხმდა ყაიმზე გეორგიუს. ასეთივე შედეგით დასრულდა გეორგიუს შეხვედრა კინტერთან. რუმენელი დიდოსტატის კიდევ 1 პარტია კვლავ გადაიდო—აქ გეორგიუს ენდშპილმი პაიკი აკლია პორტთან. ცვმკოვსკი დანებდა მარიოტს, ტანფმ მოუგო ულმანს. ტან-ლიუბოვეიჩისა და ტან-ბაიასსის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ორ პარტიას — მარიოტისთან და პანოსთან ამთავრებდა ტორე. ორივეში ყაიმი აღინიშნა.

გუშინ ტურნირზე გაიმართა მხოლოდ ერთი შეხვედრა —პორტისა და გეორგიუს გადადებული პარტიის დამთავრება. გაიმარჯვა პორტმა.

12 ტურის შემდეგ შეჯიბრების მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: 9,5 ქულა აქვს მეკონგს (ბრაზილია), 8,5 ქულა — ჰორტს (ჩეხოსლოვაკია), 8 ქულა — პოლუგაევსკის, 7 — ცვმკოვსკის, ლიუბოეევიჩს (იუგოსლავია), რიბლისა (უნგრეთი) და კაკალეკს (აშშ), 6,5 ქულა — გეორგიუს (რუმინეთი), პანოს, კინტერხისა (ორივე — არგენტინა) და ულმანს (გდრ), 6— ბალამოუს, სპასკისა და ბრაუნს (აშშ), 4,5 — მარიოტის (იტალია), 4 — ბარანდის (ირანი) და ბაიასსას (კანადა), 3,5 — ტანს (სინგაპური), 3— ტორესა (ფილიპინები) და პახმანს (გფრ).

დღეს გაიმართება მორიგი მეექვსტა ტური.

ᲤᲠᲔᲜᲒᲣᲠᲗᲘ

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ

ჩვენი დედაქალაქის ფრენბურთის მოედნებზე დამთავრდა სტუდენტთა საკავშირო ტურნირი (თბილისის ზონა) ფრენბურთში.

ქალთა შორის თბილისის ნაკრებმა ხუთივე მატჩი მოიგო და პირველ ადგილზე გამოვიდა.

ასეთივე წარმატებას მიაღწია ჩვენი დედაქალაქის ვაჟთა გუნდმაც, რომელმაც ულიერესის სახელი მოიპოვა. ამრიგად, ჩვენი ორივე გუნდი ფინალში გავიდა. დასკვნითი ასპარეზობა აგვისტოში ოდესაში გაიმართება.



ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲞᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐᲖᲔ ᲛᲔᲣᲕᲘᲓᲔᲓ

უძლიერესი საბჭოთა სპორტსმენები მეშვიდედ ემზადებიან საზაფხულო ოლიმპიადაზე გამოსასვლელად. 1 ივლისს მოსკოვიდან მონრეალის ასპარეზობაზე გაფრინდება ჩვენი ოლიმპიელების — ველოსიპედისტებისა და იახტსმენების პირველი ჯგუფი, 3 ივლისს — მოცურავეები და მეხტენდურები, აგრეთვე საბჭოთა სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელობა. მომდევნო დღეებში კი სპორტის დანარჩენ სახეობათა გუნდები. საბჭოთა სპორტსმენები გამოეკიდნენ მთელი ოლიმპიური პროგრამით, გარდა ბალახიანი ჰოკეისა. ტრადიციისამებრ, გაფრინდნენ წინ საბჭოთა ოლიმპიელები იყვნენ წითელ მოედანზე, გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში არიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები — სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, პედაგოგები და ინჟინრები, სამხედრო მოსამსახურეები და მეცნიერი მუშაკები, მუშები და მოსწავლეები. მაგრამ უმეტესობას, დაახლოებით 70 პროცენტს სტუდენტები შეადგენენ.

ოლიმპიელთა შორის არის ვეტერანი — 49 წლის ცხენოსანი, მოსკოველი ივანე კალინკა, რომელიც უკვე შედიან მეხუთე ოლიმპიადაზე მიემგზავრება. იგი არის მიუნხენის ასპარეზობის ჩემპიონი, მეხიკოს ვერცხლის პრიზიორი და ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი.

უკვე სათვალავით მეოთხე ოლიმპიადაა უკრაინის ქალაქ სუმის მცხოვრების ვლადიმერ გოლუბნიჩისათვის (სპორტული სიარული), რომელსაც ექვს ივლისს 40 წელი შეუსრულდება. იგი რომისა და მეხიკოს ასპარეზობის გამარჯვებულია, მიუნხენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორია, ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის მფლობელია.

სპორტსმენთა მთელი ჯგუფი მგზავრად აიღეს სტარტს ოლიმპიადაზე. ორი მათგანია 37 წლის კიეველი იახტსმენი ვალენტინ მანკინი და 30 წლის თბილისელი სახტომის ოსტატი ვიქტორ სანე